4972-0-3-202304191532

N 4972 19/04/2023

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 49-23
(დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები)

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ კუსიდის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა",** წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შავგულიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: **ცეცხლმაქრების შეკეთების/აღდგენის და დამუხტვის მომსახურების (CPV50610000 - უსაფრთხოების მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)** (შემდგომში "მომსახურება") სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე–2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე;

1.2 მომსახურება ხორციელდება ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საჭიროებისათვის; საფუძველი: წერილი : N 4940; 18.04.23 წ.

1.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **507 (ხუთასშვიდი) ლარს,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გათვალისწინებით).

1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ფასი

2.1 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები: მომსახურების რაოდენობა, ერთეულის ფასები და საერთო ღირებულებები იხ. ხელშეკრულების დანართში №1, რომელიც შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მომსახურების ფასში შედის ცეცხლმაქრების დამუხტვა.

2. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

3.1.მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 28 აპრილისა;

3.2.შემსყიდველის მიერ მიწოდებული ცეცხლმაქრების დამუხტვის მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე (ქ. ქუთაისი, ტ.ტაბიძის ქ.N29) დამუხტული ცეცხლმაქრების ტრანსპორტირება განხორციელდება შემსყიდველის მიერ;

3.3. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს ინსპექტირებას.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის ინსპექტირების მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის დადგენა;

4.3 მომსახურების ინსპექტირებას ახორციელებს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის უფროსი ან/და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი გიორგი ბარაბაძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად;

5.2. იმ შემთხვევაში გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება და მოსთხოვოს მიმწოდებელს გონივრულ ვადაში ხარვეზის გამოსწორება მიმწოდებლის ხარჯით;

5.3 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი ჯუმბერ ლელაძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშსწორებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1. „შემსყიდველს“ მიაწოდოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს ნაკლოვანი მომსახურების გამოსწორება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზები შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), შემსყიდველს დაეკისრება პირსაგამტეხლო

შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.3. ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. მიმწოდებლის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 30 ივნისამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

დანართი №1

№	მომსახურების დასახელება	განზ	რაოდ	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება
1	ცეცხლმაქრის დამუხტვა OP-6	ცალი	7	32	224
2	ცეცხლმაქრის დამუხტვა OP-5	ცალი	3	26	78
3	ცეცხლმაქრის დამუხტვა OP-4	ცალი	2	22	44
4	ცეცხლმაქრის დამუხტვა OP-2	ცალი	11	11	121
5	ცეცხლმაქრის დამუხტვა OY-3	ცალი	2	20	40
	ჯამი: 507 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)				

,,მიმწოდებელი"
შპს ,,იმერეთის სახანძრო დაცვა"
მის: ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ.N29
ტელ:555362196
ს/კ:412702302
ელ.ფოსტა: imereti.saxandzro@gmail.com
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა No GE60BG0000000855036300

მამუკა შავგულიძე
დირექტორი

Mamuka Shavgulidze
Digitally signed by Mamuka Shavgulidze
Date: 2023.04.19 16:23:40 +04'00'

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, გულუას ქ.№6.
ტელ: 2752352
ს/კ: 204911337
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: TRESGE22,
ა/ა№ GE24NB0330100200165022

ბესიკ კუსიდი

თავმჯდომარის მოადგილე